ჩიღვინაძე ალექს

მეორე ცხოვრება

მოქმედი პირები:
მამა, 45 წლის
გოგო, 20 წლის

აეროპორტის კაფეში, განაპირა მაგიდასთან ზის გოგო. მუხლებს შორის პარკში შეფუთული ჩემოდანი მოუქცევია. მოკლედ შეჭრილი თმა ლურჯად აქვს შეღებილი. შავი სამხედრო ჩექმები და დიდი ზომის შავი ჟაკეტი აცვია. სადღაც შორს იყურება. თვალები უშტერდება. შემოდის შუახნის მამაკაცი შავ პერანგში. დაძაბული იყურება გარშემო. მერე თითქოს ვიღაცას ამჩნევს. სახე შეეშლება. გარბის, წარმოსახვით იარაღს იღებს და ვიღაცას უმიზნებს ისე რომ მეორე ხელს აშველებს. ამ დროს უკან იყურება და წაქცევას გაითამაშებს.

მამა - აგა?

გოგო - კიდევ გააკეთე.

მამა - რა გავაკეთო, ისედაც ყველა მე მიყურებს.

(კაცი გოგოს გვერდით ჯდება)

გოგო - თორმეტი მაიმუნი.

მამა - თავიდანვე იცოდი და მაწვალე ხო?

გოგო - საიდან გაგახსენდა თორმეტი მაიმუნი?

მამა - მიდი ახლა შენი ჯერია.

გოგო - მეზარება.

მამა - რა წესია? მე კარგად მახტუნავე.

გოგო - კაი, მოვიფიქრებ.

მამა - დროზე.

გოგო - მაცადე.
(პაუზა)
კაი, მიდი, აბა.

(გოგო დგება. მოკლე ნაბიჯებით მიდის. იხრება და თითქოს ქვემოთ იყურება. რაღაცას ამჩნევს. თავს აქნევს, თითქოს ვიღაცას უარს ეუბნება. შემდეგ ვითომ ხელს კიდებენ და მიჰყავთ. ის კი იწყებს თავში ხელის რტყმას და ისტერიკაში ვარდება. უცბად მშვიდდება.)

მამა - ჰმ...

გოგო - ძაან მარტივია.

(გოგო მოქმედების ერთ ფრაგმენტს გაიმეორებს)

მამა - ვერ ვხვდები. კიდევ გააკეთე რამე.

გოგო - საშინელი მსახიობი ვარ.

(გოგო სკამს უბრუნდება)

მამა - მოიცა ერთ წამს, არ თქვა.

გოგო - გეტყვი.

მამა - არა.

გოგო - წვიმის კაცი.

მამა - ნუ რა არის ახლა ეგ? რატომ მითხარი?

გოგო - ვერ გამოიცნობდი მაინც.

მამა - როგორ არ გამოვიცნობდი, რომ არ მიფრინავს, მანქანას რო დაიქირავებენ.

გოგო - აჰა, ეგ მომენტი. არ ვიყავი დამაჯერებელი? მეც ზუსტად ეგრე ვარ.

მამა - როგორ?

გოგო - აი, ეგრე.

მამა - ფრენის გეშინია?

გოგო - ნწუ, წასვლა არ მინდა. გინდა დავბრუნდეთ სახლში რამე გემრიელი გავაკეთოთ და ვუყუროთ ამ ფილმს?

მამა - გშია?

გოგო - არა, ახლა არ მშია. რას იტყვი?

მამა - რაზე?

გოგო - ვითომ არ იცი.

მამა - ელენე, რა უნდა ვთქვა? რა თქმა უნდა, მინდა რომ დარჩე, მაგრამ ხომ ვილაპარაკეთ არა უკვე ამაზე?

გოგო - ჰო, მაგრამ ახლა აქ ვარ.

მამა - სად ხარ?

გოგო - აეროპორტში.

მამა - აბა, სად უნდა იყო?

გოგო - სახლში.

მამა - არ შეიძლება საქმის და მითუმეტეს სწავლის გადადადება. ორჯერ უკვე გადადე. ორი სემესტრი გაცადეს. როდისღა უნდა წახვიდე?

გოგო - არ ვიცი, მომავალ წელს წავალ.

მამა - მომავალ წელს რომ ვეღარ მიიღო სტიპენდია?

გოგო - რატომ ვერ უნდა მივიღო? თუ არა და სხვა რამეს მოვძებნი.

მამა - სხვას რას?

გოგო - არ ვიცი. ნახე რა ამბავია გარეთ. ვერ გაფრინდება ისედაც თვითმფრინავი.

მამა - სულ რომ ფეხით მოგიწიოს ჩასვლა უნდა წახვიდე. ნეტავ მე ვიყო შენხელა.

გოგო - და რას იზამდი?

მამა - იგივეს რასაც შენ. წავიდოდი სასწავლებლად. ვაკეთებდი იმას რაც მიყვარს.

გოგო - მერე ხომ იყავი ჩემხელა?

მამა - ვიყავი რო?

გოგო - აბა, ეგეთი დაიბადე?

მამა - ჰო, ასეთი ოღონდ 80 კილოთი პატარა და მელოტი. რა უაზრო ამინდია რა არის ახლა ეს.

გოგო - რას ერჩი მე მომწონს.

მამა - რა მოგწონს არ გამაგიჟო.

გოგო - ის რო ამინდი ყველაფერს ცვლის.

მამა - რას ცვლის?

გოგო - გეგმებს.

მამა - შენ გეგმებს არ ცვლის.

გოგო - განწყობებს ცვლის. სხვანაირი ხდება ქალაქი.

მამა - ეს ქალაქი ვერასდროს ვერ გახდება სხვანაირი.

გოგო - რატომ?

მამა - იმიტომ რომ აქ ძალიან დიდიხანი არაფერი შეიცვლება.

გოგო - რა იცი?

მამა - ვიცი. იმიტომ რომ ამდენი ხანია არაფერი შეცვლილა... იმ დღეს მეტროთი ვიმგზავრე. რაღაც მიტინგი ყოფილა. დაიშალა და მეტროში ჩამოვიდა ხალხი. ამოვდიოდი, ისინი ჩამოდიოდნენ... რაღაცნაირად მოტეხილი იყო ყველა, დაღლილი, გამოფიტული. სახეები კი არა ქვის აბრები ჰქონდათ. კორპუსებზე როა, ეგეთი ქვის სახეები - აქ ცხოვრობდა ესა-ეს, გამოჩენილი, წვეერებიანი, მშიერი... უცნობი საზოგადო მოღვაწეები. თუ არ წახვალ ადრე თუ გვიან ეგეთი გახდები. გინდა ეგეთი რომ გახდე?

გოგო - შენ რო არ ხარ ეგეთი?

მამა - არ ვარ. მე გამიმართლა. დედაშენში გამიმართლა. მერე შენში გაგვიმართლა ორივეს. სხვანაირად არ ვიცი როგორი გავხდებოდი.

გოგო - დედა ვნახე ამ დილით.

მამა - სად?

გოგო - ზღვასთან... აი ასე მხრებჩამოყრილი, არადა ახალი სახლი აქვს. ისეთი შეცვლილია. კანი, ჩაცმულობა... სულ სხვანაირია. დიდი ხანი არ მყავდა ნანახი. და...

(მამას ხველება აუვარდება)

მამა - დაანებე მაგ თამაშს თავი.

გოგო - შენ არ დაანებებ სიგარეტს თავს? აი, მე რო ვეწეოდე წარმომიდგენია რა დღეში იქნები.

მამა - დავანებებ ცოტა ხანში.

გოგო - რამდენ ხანში? მარტო კიდევ უფრო მეტს მოწევ.

მამა - რატომ მარტო?

(კაცი მობილურის ეკრანს დახედავს და კითხულობს)

მამა - ნახე, რამხელა სიაა: დათა, თათა, თემური, მაკა, კუროჩკინა

გოგო - ეგენიც ეწევიან.

მამა - გურამი, სალომე, ვანო.

გოგო - სალომე ვინაა?

მამა - სალომე? ერთი ქალია.

გოგო - სახლში მოწევ თან. აღარც მე ვიქნები, არც დედაა.

მამა - სახლში არ მოვწევ. კატაც ვერ იტანს ბოლს. თქვენ დაგემსგავსათ.

გოგო - ოთხი წელი ძაან დიდი დროა, ძაან.

მამა - არც ისე დიდია, დამიჯერე.

გოგო - აი, შენი და დედას ურთიერთობას მოაკლებდი ოთხ წელს?

მამა - ერთ წუთსაც არ მოვაკლებდი. რა შუაშია ეგ.

გოგო - მომენატრები.

მამა - ჩამოვალ როგორმე.

გოგო - ვიცი რომ ჩამოხვალ და მანამდე?

მამა - მანადე შენ ჩამოხვალ. რაღა დარჩა აღდგომამდე?

გოგო - ხუთი თვე.

მამა - ჰოდა, რა არის ხუთი თვე?

გოგო - ხუთი თვე არის თითქმის ნახევარი წელიწადი.

მამა - მერე რა არის ნახევარი წელიწადი? დრო ისე გავა რომ ვერაფერს გაიგებ. ისწავლი, თამაშს გააკეთებ. მერე მე ვიამაყებ ხოლმე, ყველას ვეტყვი, ა, თქვენც თამაშობთ? დიახ, დიახ, ჩემი შვილის გაკეთებულია. ხო, მაგარია. ის წვერიანი ელფი ჩემი იდეა იყო. ის მე მგავს? რომელი?

გოგო - მამლუქ, დეპრესიაში ვარ.

მამა - რატომ ხარ დეპრესიაში?

გოგო - იქ რომ ჩავალ, უარესად გავხდები.

მამა - პირიქით, უკეთ გახდები, დამიჯერე.

გოგო - შენ რა იცი?

მამა - ასე მგონია.

გოგო - მე კიდევ არ მგონია. როგორც კი წარმოვიდგენ ჩვენს ცარიელ სახლს, დედას ცარიელ საწოლს და როგორ ბრუნდები შენ ბნელ სახლში.

მამა - როგორც კი მივალ ეგრევე ყველა ოთახში შუქს ავანთებ. ხომ იცი ბავშვივით მეშინია სიბნელის.

გოგო - ჰოდა, ბავშვივით რომ ხარ, იმიტომ არ მინდა წასვლა. ძაან ეგოისტი გამოვდივარ.

მამა - ეგოისტი არა ზვიადისტი. მე მყავს საუკეთესო შვილი. რაში და ამაში ნამდვილად გამიმართლა.

გოგო - და რაში არ გაგიმართლა?

(პაუზა)

მამა - იმაში რომ აქ დავრჩი... დავრჩით. ამ ქვეყანაში. ამ ნაგავში. იცი როგორ გვინდოდა მე და დედაშენს წასვლა?

გოგო - მერე რატომ არ წახვედით?

მამა - არ ვიცი. ვერ წავედით. მარტოები ვიყავით. არავინ გვყავდა. შენ გაგვიჩნდი. ვის რაში ჭირდებოდა მოქანდაკე? ან ახლა ვის ჭირდება?

გოგო - მე მჭირდება.

მამა - სწავლას თავი დავანებე, მუშაობა დავიწყე... ჩემი პირველი ბუხრის ისტორია ხო მოყოლილი მაქვს შენთვის?

გოგო - რომელი?

მამა - პირველად რო ავიღე ბუხრის შეკვეთა.

გოგო - არ მახსოვს.

მამა - მოკლედ ავიღე შეკვეთა დიდის ამბით. მაგრამ ერთი პრობლემაა არ ვიცი როგორ კეთდება ბუხარი. წავედი ბიბლიოთეკაში, ვნახე რაღაც ძველისძველი წიგნი: ბუხრები, ფეჩები, გამათბობლები. წავიკითხე და მგონია რო ვიცი.მეორე დღეს მივედი, რაღაც უზარმაზარი სახლია წყნეთში. ვაკეთებ ამ ბუხარს, როგორც იქნა მოვრჩი. გამოვიცვალე, ფული ჩამითვალეს და ერთი სული მაქვს როდის გამოვიქცევი. ამ დროს შემოდის სახლის პატრონი, ისეთი ღიპიანი ბიძა, ცოლთან ერთად და იძახის: აბა, ავაგიზგიზოთ, შევამოწმოთო... და ვაი, შენს ზურას. კი გავაკეთე, მაგრამ გავა თუ არა კვამლი არ ვიცი... ყველაზე რთული ეგაა. ფერი წამივიდა. ავანთე, ველოდები... და გავიდა, წავიდა კვამლი... ჰოდა, ეს კაცი ეუბნება თავის ცოლს, ნახე ხომ გეუბნებოდი, ახალგაზრდა კია მაგრამ რა ბუხარი გააკეთა, უნაკლოო.

გოგო - მაგრად გიყვარს ეგ ისტორია.

მამა - იცოდი?

გოგო - აჰა, გამახსენდა.

მამა - აფერისტ, კიდევ იტყვი ცუდი მსახიობი ვარო. წავალ, მოვწევ და შემოვალ.

გოგო - ახლა არ მოწიე?

მამა - თან გავიგებ რამე ხო არაა ახალი. ვკითხავ ვინმეს.

გოგო - მამა, იცი, დედაზე ვეჭვიანობდი.

მამა - რატომ?

გოგო - იმ ყურადღებაზე, რაც ჭირდებოდა.

მამა - პატარა იყავი. ახლაც პატარა ხარ შენ რა გგონია.

გოგო - მერე სად უშვებ შენს პატარა გოგოს?

მამა - უყურე ახლა ამას. ვინმე რომ გვისმენდეს, როგორ გაძალებ წასვლას, იფიქრებს ამ კაცმა ხომ არ გააფრინაო, რა უნდა, ბავშვს არ უნდა წასვლაო, სად უშვებს მარტოო, მაგრამ ვიცი რომ შენთვის ასე იქნება უკეთესი, შენ თვითონ იცი მე რა... შენი ოცნებაა ეგ. ჩემს ადგილასაც წარმოიდგინე თავი, რომ მეხვეწები არ წავალო.

გოგო - ჰოდა, რომ წარმოვიდგენ, იმიტომ გეუბნები... როცა დედა ლოგინად ჩავარდა, უარი თქვი ყველაფერზე და ოთხი წელი, როცა არ მუშაობდი იჯექი დედასთან, მეთამაშებოდი, აქეთ-იქით დამატარებდი.

მამა - ახლა რა არ გეთამაშები? თორმეტი მაიმუნი ისე გავაკეთე, ჰოლივუდიდან რო დავენახე ვინმეს ოსკარს გამომიგზავნიდნენ.

ოპერატორი:
„რეისი TK 369-ის მგზავრებს გთხოვთ გამოცხადდეთ რეგისტრაციისთვის.“

(კაცი ჩერდება)

მამა - ეს არ არის შენი რეისი?

გოგო - კი, ჩემია

მამა - ვნახავ სად არის რეგისტრაცია.

გოგო - მამა, დედა დამესიზმრა გუშინ.

მამა - ადექი კაცო, რა დროს სიზმარია. ბარგი ჩავაბაროთ და მომიყევი მერე.

გოგო - ოთხი წლის იქნებოდა, მაგრამ ზუსტად ისეთი სახის გამომეტყველება ჰქონდა როგორიც ახლა. ჯერ ვერ ვხვდებოდი რა ხდებოდა, ვინ იყო ეს ბავშვი რატომ მერეოდა დედაჩემში, მერეოდა კი არა რატომ იყო დედაჩემი, რატომ მიღიმოდა, რატომ იყო ასეთი სევდიანი. მერე მიბრუნდა და წავიდა. გული მეკუმშება რომ მახსენდება. გული მეკუმშება რომ მეც უნდა შევბრუნდე და წავიდე.

(მამა გოგოს ჩაეხუტება. ელენე ელოდება რას იტყვის მამა.)

მამა - წამოდი, ელენ, თორემ გადავიფიქრებთ და მართლა სახლში წავალთ.

გოგო - აბა რა ფილმია?

ელენე წარმოსახვით ავტომატს ისვრის.

მამა - მოიცა, რა დროს ეგ არის.

გოგო - შენი საყვარელი ფილმია.

(მამა ჩემოდანს მოკიდებს ხელს)

გოგო - მოიცა ერთ წამს...

მამა - რა იყო?

გოგო - მომე აქ ჩემოდანი.

(თითქოს რაღაც ახსენდება და შეფუთულ ჩემოდანს სასწრაფოდ აგლეჯს პარკს.)

გოგო - მგონი დედას შარფი დამრჩა.

მამა - რომელი?

გოგო - ლურჯი... სულ რომ ეკეთა.

მამა - ჩადე.

გოგო - არ მახსოვს.

მამა - დაანებე თავი. გამოგიგზავნი თუ დაგრჩა.

გოგო - სად გამომიგზავნი. რომ დაიკარგოს? მერე?

მამა - რატომ უნდა დაიკარგოს?

გოგო - მე რა ვიცი... არ წავალ იმ შარფის გარეშე... ერთი კვირაც არ გასულა რაც დედა მოკვდა და მივრფინავ. მარტო გტოვებ... და შენ? როცა დედას ჭირდებოდა, საყვარელ საქმეს თავი დაანებე, ბუხრების კეთება დაიწყე...

მამა - ჰოდა, მინდა რომ შენ გქონდეს ყველა პირობა, რო ის აკეთო რაც გიყვარს.

გოგო - შენ? ღამეებს ათენებდი იმ დამპალ ბუხრებს აკეთებდი, ღამეებს.

მამა - ყოველ ღამეს არ ვმუშაობდი.

გოგო - თუ არ მუშაობდი ისევ იმ ბუხრებს ხატავდი. რამდენი ბუხარი გააკეთე? ასიათასი? მილიონი?

მამა - სხვაგან ვრჩებოდი.

გოგო - სად?

მამა - ვიღაც მყავდა.

(პაუზა)

მამა - სამი წლის წინ გავიცანი. ისე გამოვიდა რომ... მოკლედ ხადანხან როცა არ მოვდიოდი სახლში, ყოველთვის არ ვმუშაობდი, მასთან ვიყავი. უბრალოდ ასე გამოვიდა.

გოგო - სად გაიცანი?

მამა - კარგი, არ უნდა მეთქვა.

გოგო - ვის ხვდებოდი?

მამა - ერთია, კარგი...დაივიწყე.

გოგო - რა დავივიწყო? დაამთავრე რას ამბოდი.

მამა - ხომ გითხარი.

გოგო - ახლაც ხვდები?

მამა - ჰო.

გოგო - რამდენი წლისაა?

მამა - ოცდაცამეტის.

გოგო - პატარა გოგოა.

მამა - ჰო, ჩემზე პატარაა.

გოგო - ძალიან პატარაა.

(პაუზა)

გოგო - იმიტომ მეუბნები ახლა რომ არ მინდა წასვლა.

მამა - არ არის ეგრე.

გოგო - მოიგონე ხო ეგ? გეგონა გაბრაზებული გავარდებოდი?

მამა - ძმა გყავს.

გოგო - რა?

მამა - ძმა.

გოგო - არ მჯერა.

მამა - გაგაცნობ, რომ ჩამოხვალ. გგავს.

გოგო - მგავს?

მამა - ჰო, ორი წლისაა. უკვე გცნობს. შენს ფოტოს რო ვანახებ იძახის: ელე... ელე.

პაუზა.

გოგო - ორი წლისა?

(გოგო ჩემოდნის ქექვას აგრძელებს. ნივთებს ყრის. პარკებს ხსნის. პოულობს დედამისის შარფს.)

მამა - ხომ გეუბნებოდი ჩადე-მეთქი.

(გოგო შარფს იხვევს.)

მამა - შეგცივდა?

გოგო - რა ქვია?

მამა - სალომე.

გოგო - არა, ბავშვს.

მამა - თომა.

გოგო - დედას უყვარდა ეგ სახელი.

მამა - ჰო, იმიტომ დავარქვი.

გოგო - ჩემთვის უნდოდა დაერქმია.

მამა - რატომღაც დარწმუნებული იყო რომ ბიჭი გაუჩნდებოდა.

გოგო - სამწუხაროდ მე გავჩნდი.

მამა - ელენე, გეყოს.

გოგო - ახლა აქედან მათთან წახვალ?

მამა - არა, სახლში.

გოგო - ჩვენთან გადმოვლენ?

მამა - არ ვიცი, შეიძლება მე გადავიდე მათთან.

გოგო - რატომ არ მითხარი?

მამა - რა?

გოგო - ვიღაც თუ გყავდა.

მამა - როდის უნდა მეთქვა?

გოგო - არ ვიცი, როცა შვილი გაგიჩნდა.

მამა - ასე მარტივი სათქმელია?

გოგო - დედამ იცოდა?

მამა - არა.

გოგო - ატყუებდი?

მამა - არა, უბრალოდ არ მითქვამს.

გოგო - და რო ეკითხა? ეტყოდი?

მამა - არ ვიცი, ვერა. ვერ ვეტყოდი. ისიც არ ვიცი, შენ როგორ გითხარი?

გოგო - ხვდებოდა?

მამა - შეიძლება ხვდებოდა კიდეც.

გოგო - შეიძლება კი არა ხვდებოდა. იცი ხანდახან რას ამბობდა? რას ამბობდა რომ იგვიანდებდი? მთხოვდა, მომკალიო... კიოდა... ტვირთი ვარო მამაშენისთვისო...

მამა - გეყოს ელენე.

გოგო - რა მეყოს? რა? გგონია რომ მარტო შენ იტანჯებოდი? თურმე რო გაგვიანდებოდა იმასთან იყავი. პამპერსებს უცვლიდი? მიპასუხე.

მამა - ჰო, პამპერსებს ვუცვლიდი.

გოგო - გასვენებაში იყვნენ?

მამა - ვინ?

გოგო - შენი საყვარელი.

მამა - არა, არ ყოფილან.

გოგო - რატომ? არ იკადრეს? კიდიხართ? ცოლი მოგიკვდა და იმის ღირსადაც არ ჩაგაგდეს რომ გასვენებაში მოსულიყვნენ?

მამა - მე ვთხოვე რომ არ მოსულიყვნენ.

გოგო - რატომ?

მამა - წამოდი, შევფუთოთ თავიდან ჩემოდანი.

გოგო - არ მინდა. ავალ უკვე.

მამა - სად ახვალ?

გოგო - არ გაგვიანდება?

მამა - სად უნდა მაგვიანდებოდეს?

გოგო - შენს ახალ ოჯახთან. შვილთან. ახალ შვილთან.

მამა - კარგი რა, ელენ

გოგო - კარგი.

მამა - რა კარგი?

გოგო - წავალ მე.

მამა - ელენე!

გოგო - არ გამომყვე, გთხოვ.

(ელენე ჩემოდან კრავს. იღებს და მამას ზურგს აქცევს)

მამა - არ დამემშვიდობები?

(ელენე ჩერდება)

მამა - არ დამემშვიდობები?

(ელენე მიდის. კაცი მარტო რჩება. მობილურს ათამაშებს ხელში. ეკრანს უყურებს)